საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს №20 (6514) 21 მაისი ხუთშაბათი 1992 წელი.

## თავისუფლების დღესასწაული

1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს



სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა

74 წლის წინათ, 1918 წლის 26 მაისს საქართველომ აღიდგინა საკუთარი სახელმწიფოებრიობა, რითაც ახალი ფურცელი გადაშალა მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებელი არსებობის ისტორიაში.

...უხეშად დაირღვია რა გეორგიევსკის ტრაქტატი, მეფის რუსეთმა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით საბოლოოდ გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო. რუსეთის ძალმომრეობით 1810 წელს გაუქმდა იმერეთის სამეფოც. ამრიგად, აღესრულა ქართული სახელმწიფოებრიობა. ამ ანტიჰუმანურ და კოლონიზატორულ აქტს არასდროს არ შერიგებია ქართველი ხალხი. ქართველი პატრიოტები ხმლითა თუ კალმით უთანასწორო, მაგრამ თავგანწირულ ბრძოლას ეწეოდნენ დამოუკიდებლობის აღსადგენად.

და აი, საქართველოს განთავისუფლების სიომ დაბერა. 1917 წლის თებერვლის დემოკრატიულმა რევოლუციამ, რომელმაც ბოლო მოუღო რომანოვთა დინასტიის სამასწლიან ბატონობას, ქართული ეროვნული ძალების აქამდე არნახული გააქტიურება გამოიწვია. რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ აღნიშნული პროცესის პრაქტიკულ დადასტურებას წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელიც გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს.

ყრილობამ 22 ნოემბერს აირჩია ეროვნული საბჭო. ამრიგად, პირველად მთელი 116 წლის მანძილზე შეიქმნა ქართული ეროვნული დაწესებულება.

26 მაისს ნოე ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული ეროვნული საბჭოს მიერ, მთავრობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე რამიშვილი, რომელიც ივნისში ნ. ჟორდანიამ შეცვალა. მთავრობა კოალიციური იყო. მასში შედიოდნენ სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნული დემოკრატებისა და ესერთა პარტიების წარმომადგენლები.

ამრიგად, საქართველომ აღიდგინა საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობა და გამოვიდა საერთაშორისო სარბიელზე როგორც სუვერენული სახელმწიფო. ეს იყო საქართველოს ეროვნული სახის წარმოჩენა და ქართული სახელმწიფოებრიობის გაცოცხლება. სულ რაღაც ორიოდე წლის განმავლობაში საქართველო მსოფლიოს ორ ათეულზე მეტმა სახელმწიფომ აღიარა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მასთან.

ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა დამფუძნებელ კრებას, რომლის არჩევნები 1919 წლის თებერვალში გაიმართა, ხოლო 12 მარტს შედგა მისი პირველი სხდომა. მან ამავე სხდომაზე დაადასტურა ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს ქალაქ თბილისში მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი.

დამფუძნებელი კრების უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენდა დემოკრატიული საქართველოს ძირითადი კანონის კონსტიტუციის მომზადება და მიღება. საკონსტიტუციო კომისიამ შეადგინა კონსტიტუციის პროექტი. პროექტში ფართოდ იყო გათვალისწინებული მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების (შვეიცარია, საფრანგეთი, ბელგია და ა. შ.) კონსტიტუციები. პროექტი დამფუძნებელ კრებაში დიდი გულისყურითა და ინტერესით განიხილებოდა. კომისიამ კონსტიტუციის პროექტი დამფუძნებელ კრებას განსახილველად წარუდგინა 1920 წლის 14 ივნისს. განხილვას კი

(დასასრული მე-2 გვერდზე).

დღის წესრიგშია მიწის რეფორმა

## დასაწყისის სიძნელენი

ახლა რაიონის სოფლებში მიწის პრივატიზაცია, მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა მიმდინარეობს. ეს ურთულესი პროცესი რომ უმტკივნეულოდ ჩატარდეს, მიწის რეფორმის რაიონული კომისია ყოველნაირად ცდილობს ეტაპობრივად, სახელმძღვანელო დებულების სრული დაცვით და აუჩქარებლად გადაწყვიტოს ამ საქმესთან დაკავშირებული წვრილმანი საკითხიც კი.

ამ მხრივ როგორ მიდის საქმე ორბელის საკრებულოს სამოქმედო ტერიტორიაზე?—ამ კითხვას პასუხობს ორბელის საკრებულოს გამგებელი ჯ. ბურჯალიანი:

ჩვენთან, ორბელში, სულ ორი კვირაა, რაც მიწის რეფორმის განმხორციელებელი კომისია შეუდგა მუშაობას რადგან კომისიის თავმჯდომარის ხელახალი არჩევა გახდა აუცილებელი. ამჟამად კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აგრონომი გურამ გზობავა. პირველ რიგში დახადგენია მიწის ფონდი. ჯერჯერობით კი ძველი ინვენტარიზაციის მიხედვით მიწის სავარაუდო ფონდი 206 ჰექტარია, ამაში შედის საკარმიდამო მიწა, ბაღ-ვენახები და სასიმინდე ფართობი. ეს გარკვეულ სირთულეებს ქმნის მიწით მოსარგებლეთა შორის, რადგან ისეთ გამრჯე და შრომისმოყვარე ადამიანებით გამორჩეულ სოფელში, როგორიც ორბელია, ერთ ოჯახზე საშუალოდ 0,4 ჰექტარი მიწის მიკუთვნება, ძალზე ცოტაა, არადა კატეგორიების მიხედვით მოსამსახურე კატეგორია ძალზე ცოტაა და სხვაობა დიდი-დიდი 500 კვადრატული მეტრი რომ იყოს, მეტი არ იქნება.

რაც შეეხება სოფლების გამიჯვნას, აქაც ბევრია წინააღმდეგობა. დავაა ლაჯანა-ორბელის, გაგულეჩ-ლაილაშის, უსახელო-ლეშკედის საზღვრებზე. სოფელ ორბელის მოსაზღვრეა წილამიერი, რომლის ტერიტორიაზე ორბელელებს სასიმინდე ნაკვეთები აქვთ. სოფელ წილამიერს მიწის ფონდი საკმაო აქვს, იქნებ ვერც კი მოერიონ და სოფელსა და სოფელს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკებით, კომისიის თავმჯდომარეების შეთანხმებით სასიმინდე ფართობი იქნებ დარჩეს სოფლის კუთვნილებად. თუკი უარს მივიღებთ, რა ძალა გვაქვს, მიწა უნდა დათმონ ორბელელებმა.

ასე რომ ჩვენთან პრივატიზაციის პირველი ეტაპია.

გაზაფხულის რიტმი

•

## ხვნა-თესვა დაამთავრეს

მიწის კერძო მფლობელობაში გადაცემამ საგაზაფხულო სამუშაოები შეაფერხა სოფელ ტვიშში. ხალხი შეშინდა-ვაი თუ ტექნიკის გარეშე დაუხნავი დაგვრჩეს სოფლის მარჩენალი, გონის მთის სამარცვლე ფართობიო, მაგრამ როგორც იქნა, საქმეს მოება თავი. სოფლის საკრებულომ (გამგებელი შ. გოდოლაძე) შემოიტანა საწვავი, ამუშავდა ტრაქტორები და ჯემალ გაბიძაშვილმა და გებენ ჩაკვეტაძემ სახნავ ფართობს ყამირიც შემატეს და უმოკლეს ვადაში შეძლეს ხვნა-თესვის დამთავრება, სულ დახნულია და დათესილია 70 ჰექტარი ფართობი, რაც გასულ წელზე 10 ჰექტარით მეტია.

უახლოეს დღეებში სოფელში საკმაო რაოდენობით შაბიამანსაც შემოზიდავენ და მევენახეებს ყოველგვარ პირობებს შეუქმნიან, რომ ჯერჯერობით იჯარით გაცემული 18,5 ჰექტარი ზვარი მოუვლელ-მიუხედავი არ დარჩეს.

გაზაფხულზე ეყრება საფუძველი წლის მოსავალს. ეს კარგად ესმით ტვიშის საკრებულოსა თუ მიწის რეფორმის განმახორციელებელი კომისიის წევრებს. ამიტომ ახლა მთავარია არც ერთი მტკაველი მიწა არ დარჩეს დაუმუშავებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფლების დღესასწაული

(დასასრული)

რვა თვეზე მეტი დასჭირდა. მხოლოდ 1921 წლის 21 თებერვალს დაამტკიცა დამფუძნებელმა კრებამ დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია.

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაეს კანონად ცხადდებოდა. რესპუბლიკის ადმინისტრაციული დანაწილება და ავტონომიური საზღვრების შეცვლა მხოლოდ კანონით იყო შესაძლებელი. აიკრძალა სიკვდილით დასჯა. სასამართლოს განაჩენის გარეშე იკრძალებოდა ვისიმე პასუხისგებაში მიცემა, ვინც უნდა ყოფილიყო იგი. მთავრობის თავმჯდომარე ირჩეოდა ერთი წლით. იგი შეიძლებოდა კიდევ ერთხელ არჩეულიყო. მთავრობის თავმჯდომარე ითვლებოდა რესპუბლიკის უზენაეს წარმომადგენლად. მაგრამ მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონოდა იმაზე მეტი უფლება, რაც კონსტიტუციით ენიჭებოდა.

თავისი არსებობის მოკლე დროის მანძილზე საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მოასწრო ზოგიერთი პოზიტიური ღონისძიების განხორციელება, სოციალური მმართველობის, კულტურისა და განათლების სფეროებში. ადგილებზე დაარსდა ერობები, რომლებიც შეუდგნენ სოფლად სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნას, გზების გაყვანას, სამედიცინო პუნქტების მოწყობასა და ა. შ. რუსული მიწერ-მოწერა და ამ ენაზე საქმის წარმოება შეიცვალა ქართულით. შემოღებული იქნა საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი განათლება. განათლების სამინისტროსთან დაარსდა საგანგებო კომიტეტი ცნობილ მეცნიერთა და პედაგოგთა შემადგენლობით. გამოცოცხლება დაეტყო მწერლობას, ხელოვნებას, მეცნიერებას. საოპერო თეატრში დაიდგა „აბესალომ და ეთერი", „ქეთო და კოტე" და ა. შ. უფრო ადრე 1918 წლის იანვარში, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი.

1921 წლის 27 იანვარს საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურედ აღიარა ანტანტის სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ, რომლის წევრები იყვნენ ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, ბელგია.

ამ ამბავმა დიდი სიხარული გამოიწვია. ეს ადვილი გასაგები იყო: საქართველო პირველად თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დიდ ასამბლეაში შედიოდა. ნახევრად დამშეული ხალხის უმრავლესობა მზად იყო უდრტვინველად გადაეტანა ყოველგვარი გაჭირვება, ოღონდ კი ეროვნული სახელმწიფოს საძირკველი განმტკიცებულიყო.

უხეშად დაარღვია რა 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება, საბჭოთა რუსეთმა შეიარაღებული აგრესიის შედეგად 1921 წლის თებერვალში განახორციელა დემოკრატიული საქართველოს ანექსია. ანექსირებული საქართველოს სრულ უუფლებობას ბოლო მოეღო მხოლოდ 70 წლის შემდეგ, როცა დაიშალა საბჭოთა იმპერია.

დღეს საქართველოს წინაშე კიდევ უფრო მწვავე, რთული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები დგას ვიდრე 1917-1918 წლებში. და მაინც მომავალს იმედიანად შევყურებთ.

# ტყე შეუნახე შვილებსა...

ტყეა სიცოცხლის ძარღვი, ტყე შევუნახოთ შვილებსა—არ გვესწავლება მშვენიერი, ფრთიანი ლოზუნგები. მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ—ვუვლით ტყეს, თუნდაც ერთი ძირი ხე დაგვირგავს და გვიხარებია შთამომავლობისთვის? ტყეში მაჯახდატრიალებული მავნებლისათვის შეგვიბედია ერთი საძრახისი სიტყვა?—არა! ტყის დაცვა მხოლოდ სპეციალისტების, ტყის მსახურთა საქმედ მიგვაჩნია და არა თითოეულისა და ყველასი.

გაგვიგრძელდა შეგონება. კონკრეტულად კი აი, რა გვაწუხებს: ქვედა ცაგერში „სიბიკრის" ზედა უბნის მცხოვრებნი კარგა ხანია შიშით შევყურებთ მეწყრისგან დაზიანებული საკუთარი სახლის კედლებს. ბევრი აიყარა, ახალი სამოსახლო მოიძია, მეწყერი ხახადაფჩენილი უახლოვდება სოფელს, ზევიდან, ტყის ზოლიდან, დღეს მამაზეციერმა თუ უწყის რა სიურპრიზს გვიმზადებს დედა-ბუნების სასწაულებრივი ძალა.

ჩვენ ისე ჩვეულებრივად ვუყურებთ ამას, რომ გრუნტის წყლებსაც კი არ ვაძლევთ გზას მამა-პაპური თხრილებით და ყველაფერს სხვისგან ვითხოვთ.

ქაეც ჯანდაბას. მაგრამ ისიც ვერ შეგვიგნია, ტყეს გავუფრთხილდეთ, „ნაჯიხურები"— „დათვიხალის" ტყეს, რომელიც მეწყრისაგან მთელი ქვედა ცაგერის ერთადერთი დამცავია.

არა მგონია ნორმალური ადამიანი არ შეაძრწუნოს „დათვიხალის" ტყეში დატრიალებულმა ბარბაროსობამ, განადგურებულია წაბლი, აკაცია რცხილა.. ვინ ბეჭით ეზიდება, ვინ ხარით. ტყის მცველი?—20-იც რომ იყოს, ვის რა შეუძლია, დღენიადაგ ნაჯახის კაკუნი გაისმის ტყეში.

არავის არც თავისი მოქმედების გაცნობიერების უნარი აქვს, არც რიდი და არც შიში.

არანაკლებ ანადგურებს ტყეს სოფლად მომრავლებული თხის ჯოგი, რომელიც მერქანსაც კი აცლის ახალგაზრდა ნარგავებს.

გონს მოვეგოთ ხალხო, შევიგნოთ, იმ ტოტს რომ მოვჭრით, რომელზედაც ვზივართ, უფსკრულში გადავიჩეხებით. გვეყოფა ტკივილი, გაჭირვება, ტყეს გავუფრთხილდეთ, რომ ცოტა ხნით მაინც დაგვიცვას სტიქიისაგან. რაც დღემდე იყო გვეყოს. ყველას მიგვიძღვის მეტნაკლებად ცოდვა ამ ტყის გაჩეხვაში. ამიერიდან ცოცხალი თავით არავის დავანებოთ ნაჯახის მოქნევა. არაფერი შეღავათია ჩვენთვის ვისიმეს დაჯარიმება, ნებისმიერი მავნებელი გადაეცემა სასამართლოს.

ვ. ზერიძე,
ვლ. დავითულიანი.

# ლაჯანურჰესი: პრობლემები და პერსპექტივები

**ეკონომიკა, მრეწველობა და საერთოდ ყოფა ჩვენი, წარმოუდგენელია ელექტროენერგიის გარეშე, არადა იგი განსაკუთრებით დეფიციტია დღეს.**

**როგორია ლაჯანურჰესის კასკადის მშრომელთა წვლილი საერთო ენერგოსისტემაში, რა პერსპექტივები და პრობლემებია მათ მუშაობაში —ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ლაჯანურჰესის კასკადის დირექტორი**

**დათო ჩაჩხიანი:**

შარშან ლაჯანურჰესის კოლექტივმა 380 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მისცა სახალხო მეურნეობას. გამოშვებული პროდუქცია შედის საქენერგოს ერთიან ყულაბაში, აქედან საკუთრივ ჩვენთვის ვიყენებთ სარემონტო-სამშენებლო თუ სხვა თანხებს, რაც კი დაგვჭირდება. რაც შეეხება რაიონის ბიუჯეტს, მას ხმარდება მხოლოდ ჩვენი საგადასახადო ამონაგები.

შარშან კოლექტივმა გამომუშავებული 380 მილიონი მანეთიდან მოიხმარა 15—16 მილიონი მანეთი.

კოლექტივი მობილიზებულია რიტმული მუშაობისათვის. მწყობრშია ყველა დანადგარი. ამ გაზაფხულს, კი მართალია, წყალუხვობა არ გვქონია, მაგრამ მთლიანი ჩამონადენი მაქსიმალურად ავითვისეთ.

მიმდინარეობს ონის ჰიდროელექტროსადგურის აღდგენითი სამუშაოები. იგი სტიქიით დაინგრა და ამ დღეებში გაიშვება ექსპლოატაციაში.

ამბროლაურის რაიონშიც მიმდინარეობს რიცეულჰესის აღდგენითი მშენებლობა და ორ კვირაში ისიც დაიწყებს მუშაობას.

რაც შეეხება ორბელჰესის აღდგენას, აქ სამუშაოები ჯერჯერობით არ განხორციელებულა, რადგან სადგური განკომპლექტებულია აგრეგატებისაგან, რომელიც ჯართში ჩააბარეს. ახლის შეძენა-დამონტაჟება კი, მოგეხსენებათ, არ არის იოლი საქმე.

ბევრი რამ გავაკეთეთ ჰესის ეზოს, შენობების კეთილმოწყობისათვის, რეკლამა—თვალსაჩინოების განახლებისათვის.

გაუმჯობესდა სპეციალისტთა და საერთოდ მუშაკთა შრომითი პირობები. მინიმალური ხელფასი 150 მანეთიდან 1100 მანეთამდე გაიზარდა. კოლექტივი მზადაა ყველა სიმძლავრისა და რეზერვის გამოყენებით სახალხო მეურნეობას მეტი ელექტროენერგია მიაწოდოს.

# დეფიციტი ანგარიშგაწევას გვაიძულებს

ზამთარი გადავიტანეთ. გაზაფხულია. ადიდდა მდინარეები, წყალი დაგროვდა ჰიდროჰესების საცავებში და მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ საქართველოს ზაფხულის თვეებშიც უჭირს ელექტროენერგიით მაქსიმალურად დააკმაყოფილოს ყველა მომხმარებელი. ჰიდროჰესები სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს ჩვენი რესპუბლიკის მოთხოვნებს, ხოლო თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია ძვირი ჯდება, რადგან დღევანდელ პირობებში საწვავის (გაზი, მაზუთი, ნახშირი) ფასები მეტად ძვირია, ამასთან ჩვენს რესპუბლიკას ელექტროენერგია შემოაქვს სხვა რესპუბლიკებიდან, რომელსაც ძალზედ ძვირად ყიდულობს.

ზემოთაღნიშნულმა განაპირობა ელექტროენერგიის ფასების გაზრდა. მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან მოქმედებაში შევიდა ელექტროენერგიის ახალი ტარიფები, მოსახლეობაში ძალაში დარჩა ერთ კილოვატზე 12 კაპიკი შეღავათის გათვალისწინებით, საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის 52,5 კაპიკი, ხოლო სამრეწველო ორგანიზაციებისთვის 2 მანეთი და 43 კაპიკი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენს რაიონში ელექტროენერგია იხარჯება ძალიან უყაირათოდ. წარმოება-დაწესებულებებში არ არის ელექტრო ხარჯვის აღრიცხვა, დღედაღამ ანთებულია ნათურები, ენერგია გამოყენებულია გათბობისათვის, არ არის ტექნიკური პირობები დაცული, ვისაც სად მოესურვება იქ გაიყვანს ენერგიას, ყოველგვარი ნებართვისა და ტექნიკური პირობების გარეშე ქსელს უერთებენ ახალ ობიექტებს, საფასურის გადახდას კი თავს არიდებენ.

ელექტროენერგია რომ ნორმირებულად იყოს დახარჯული, საჭირო და აუცილებელია ყველა ობიექტზე იქნას დაყენებული ელექტრომრიცხველი (შემოწმებული ლაბორატორიულად) და დაცული უნდა იყოს ტექნიკური უსაფრთხოების წესები, წინააღმდეგ შემთხვევაში ელექტროენერგიის გადაანგარიშება მოხდება ელექტროდანადგარების და წერტილების სიმძლავრით, რაც ძალზე ძვირად დაუჯდება ორგანიზაციას. ის წარმოება-დაწესებულებები და განსაკუთრებით კოლმეურნეობები, ვინც ვერ აგვარებს აღრიცხვის მოწესრიგებას და ნაკლები დატვირთვით მუშაობს ობიექტები, უმჯობესია მთლიანად გამოირთოს ქსელიდან, რათა დაგეგმილი სიმძლავრე არ გადაჭარბდეს, თორემ ძალიან ძნელია კილოვატზე 2 მანეთისა და 43 კაპიკის გადახდა.

ვაფრთხილებთ ყველა წარმოება-დაწესებულების, კოლმეურნეობის, კოოპერატივის და სხვა მომხმარებლების ხელმძღვანელებს ელექტროენერგიის ხარჯვის ზუსტი აღრიცხვა წარმოადგინონ ყოველი თვის 25 რიცხვში ცაგერის ენერგოგასაღების განყოფილებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ელექტროენერგიის ხარჯი დაეწერებათ დაგეგმილი სიმძლავრით და პრეტენზია არ მიიღება.

ცაგერის ენერგოგასაღების უბანს ძალიან უჭირს მოსახლეობასთან მუშაობა, დიდია ენერგიის დანაკარგები, არიან სამფაზის მომხმარებლები, რაც სასტიკად აკრძალულია ელექტროენერგიის სარგებლობის წესების თანახმად. მოსახლეობის ნაწილი იტაცებს ელექტროენერგიას. ასეთი ფაქტები ძალიან გაზრდილია შარშანდელთან შედარებით, რაც გამოწვეულია თხევადი გაზის გაძვირება-უქონლობით და შეშის გაძვირებით. ყველაზე იოლი გამოსავალი მოსახლეობამ იპოვა—ჩართოს ელექტროღუმელი, გაათბოს ოთახი, აკეთოს საჭმელი, გააცხელოს აბანო და სხვა, ეს ყველაფერი ხდება ელექტროენერგიის 60 პროცენტის მოპარვის ანგარიშზე, რაც იძულებულს გვხდის ჩავატაროთ მოსახლეობაში ყოველდღიური რეიდები, გავავრცელოთ ჯარიმები და შევუწყვიტოთ ელექტროენერგიის მიწოდება.

მოსახლეობის დიდი ნაწილი დახარჯული დენის გადასახადს არ იხდის, გაზრდილია დებიტორული დავალიანება. ვთხოვთ ყველა მომხმარებელს, როგორც წესი, ყოველი თვის 10–15 რიცხვებში ამოწეროს ელექტროენერგიის გადასახადი და შეიტანოს მის ახლომდებარე შემნახველ სალაროში. აბონენტებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგონ, რომ ჩვენს კონტროლიორებს არ ევალებათ ფულის აკრება, მათ ევალებათ შეამოწმონ აბონენტი რამდენად კანონიერად ხარჯავს ელექტროენერგიას, არ იყოს დატაცების ფაქტები.

ვაფრთხილებთ იმ აბონენტებს, რომლებიც ელექტროენერგიას იპარავენ, გამოვლინების შემთხვევაში არ დავინდობთ და ჯარიმის მაქსიმუმს გადავახდევინებთ. მრიცხველის გაფუჭების, გამოცვლის, ანდა რემონტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია გვაცნობოს და ჩვენი ნებართვის გარეშე ნუ შეეხება აღრიცხვის ხელსაწყოებს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმდება.

ვთხოვთ, ელექტროენერგიის ყველა მომხმარებელს ანგარიში გაუწიოს დღევანდელ მდგომარეობას, მომჭირნეობითა და ეკონომიურად ხარჯოს დენი, დაიცვას ელექტროენერგიის სარგებლობის წესები. ჩვენ, ცაგერის ელქსელების მუშაკები ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა შეუფერხებლად მივაწოდოთ ელექტროენერგია მომხმარებლებს.

ზ. ახვლედიანი,
ცაგერის ელექტროქსელების სარეალიზაციო უბნის უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხ ს ო ვ ნ ა

## ღ მ ე რ თ ო, უ ლ ხ ი ნ ე მ ა თ ს უ ლ ე ბ ს!

### ვილიამ გოლეთიანი



მეექვსედ ყვავილობს გაზაფხული, მეექვსედ ვხვდებით ჩუმად, უთქვენოდ 21 მაისს, თქვენი დაბადების დღეს.

თქვენი წასვლით გაჩენილი სიცარიელე კი არა და არ ივსება, ან კი რა შეავსებს.

საოცარი სიარული იცოდით, თითქოს მუდამ სადღაც მიგეჩქარებოდათ. თქვენი განყოფილების კედლებს დღესაც შერჩენილი აქვს თქვენი ნაბიჯების ექო, გულის ამოვარდნამდე გახშირებული სუნთქვა. თქვენზე ამბობდნენ: ოქროს ხელი აქვს, მადლიანი გული დალოცვილი მარჯვენა, რკინისებური ნებისყოფაო. საოცარი მსმენელი იყავით, ნაღდი ჭირისუფალი და ფაციცი ყურადღებით, თუ რამე მოგეწონებოდათ, აღტაცებას ვერ მალავდით.

ხანდახან უმადურებიც გხვდებოდით, იმედსაც გიცრუებდით, თქვენი დიდი და მოყვარული გული ივიწყებდა წყენას, ივიწყებდა ტკივილს, ძლიერი იყავით სულიერად და შეგეძლოთ წვრილმან წყენაზე მაღლა დადგომა. არაფერ ცხოვრებამ სად არ გატარათ, რა დოლაბმა და შავეთმა არ გადაგიარათ, მერე რა, ვერც ვერაფერი დაგაკლოთ და ვერც ვერაფრით გაგტეხათ, ბუნებით ძალზე ფაქიზი და ესთეტი, ვერავითარმა მწიკვლმა ვერ დაგძლიათ.

საოცარი თხრობა, იშვიათი ნაძერწი ფრაზა გქონდათ. სიხარული და სიცოცხლე შეგქონდათ ყველგან და ალბათ უცხო მიწაზეც, სადაც გეწადათ ამაყი, ლაღი და ხალისიანი თამადა ყოფილიყავით. ჩუმად დრო იხელთა სიკვდილმა. თქვენმა ანთებულმა გულმა უცბად შეწყვიტა ცემა. რა დასანანია, რომ „ბედი მდევარი“ სხვა მიწაზე დაგეწიათ, რადგან ეშმა მშობლიურ მიწაზე ვერას დაგაკლებდათ. თქვენი უკანასკნელი ნაკვალევი უცხო მიწიდან თქვენს საფიცარ სოფელ ნაკურალეშს უზარმაზარ ქვასთან მიდის. ქვაში ჩასახლდით სამუდამოდ, ცივი ლოდი სიცოცხლის უკვდავ მოგონებად აქციეთ ჩვენო ვილიამ ექიმო!!

თქვენ ხომ კაბინეტში გიცდიდათ ქათქათა ხალათი, გიხმობდათ სასწრაფო, ავადმყოფები, გელოდათ ოჯახი და თქვენი მრავალრიცხოვანი კოლექტივი შთაბეჭდილებებით აღსავსეს უცხო ქვეყნიდან.

...და მაინც წახვედით და დაგვიტოვეთ ტკივილი და მოგონება, თქვენს ჭერქვეშ დაისადგურა სიჩუმემ, თქვენი სურათებიდან გადმოსული ღიმილი ვერა და ვერ ანუგეშებს თქვენს ეთერს და ერთადერთ მამუკას. ალბათ, დედამიწამ ვერ დაიტია ეგ ვეებერთელა სიკეთე და სული თქვენი ხაქიოს გადასახლდა.

ხანდახან ვფიქრობთ, თუ შეიძლებოდა თქვენი სხვანაირი სიკვდილი: სიბერით დაუძლურება, ავარია ან სხვა ამგვარი.. აბსურდია... ვერაფრით წარმოგვიდგენია ბებერი, დაუძლურებული ვილიამ გოლეთიანი.

„თქვენ სიკვდილისთვის ვის ემეტებით,
წინ კიდევ დიდი ცხოვრება გედოთ,
რჩეულთა შორის იდექით მუდამ
გამორჩეული სიკვდილიც გერგოთ“.

რაისაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები.

### ტარიელ ჯოკიას ძე კოპალიანი

იცხოვრა, სანთლად ინთო სიცოცხლე, გარდაიცვალა, ნათელი ადგას მის ხსოვნას. იცხოვრა კაცურად, ალალმართალი ქართველის სახელით. ბევრი ვერ მოასწრო, მაგრამ წარუშლელი კვალი მაინც დაატყო დედამიწას. მოკვდა კაცი და დარჩა სახელი..

ისევ მოდის 26 მაისი უშენოდ, ყოველთვის ულალატომ ბოლო დღეებში გვიღალატე, შარშანდელი ზეიმი გლოვად გვიქციე. ტკივილამდე მოგისაკლისეთ, როგორც მოკვეთილი მარჯვენა. გვაკლიხარ ახლაც, უფრო გვაკლიხარ. უფრო გამძაფრდა ტკივილი, შენი ტრაგიკული წასვლით მოგვრილი. უფრო გაცხოველდა იმ ნათელი დღეების ხსოვნა, მხარში რომ გვედექი ეროვნული მოძრაობის შესახიდებლად. ყველაზე ძნელ საქმეს ითავებდი, ყველაზე ძნელ მარშრუტს აირჩევდი, უკანდახევა არ იცოდი. ალბათ მეომრული გამოცდილება თუ გკარნახობდა საკეთებელს, არადა გარეგნულად სულაც არ გავდი მეომარს— მაღალსა და ტანადს, ლამაზ სახეზე ოდნავი ჭმუნვის ბეჭედი გაჩნდა. არა, სულაც არ ჰგავდი მეომარს და მაინც მხედრულად დაგკრძალეთ. ეროვნული დროშა გაგატანეთ სამუდამო სამყოფელში, ასე უფრო მშვიდად იქნება შენი სული, ძმაო!

სიკვდილის მერე მოგაკითხა „ავლანელ“ მეომარს საბრძოლო ჯილდომ—ცრემლიანი თვალებით შესცქერის სევგამწარებული დედაშენი კრემლიდან გამოგზავნილ მედალს—ცეცხლში გამოწრთობილი შენი სიჭაბუკის დასტურს. მხოლოდ 29 წელი იცოცხლე, ბევრი მოასწარ, მაგრამ შენი წილი ვალი მოსახდელი დაგრჩა—შენი ნაშიერი არ აგრძელებს შენს სავალ გზას. ამიტომაც გვენანები, ძმაო! ამიტომაც ვერ ვუსწორებთ თვალს სარა დეიდას—ვაჟკაცი შვილის დამკარგავ დედას, თუმც მას ნუგეშად შენი ძმები დარჩნენ. ისინი გადაარჩენენ შენს გენს და სისხლს. ჩვენ კი იქნებ ღმერთს ვცოდავთ, მაგრამ ზოგჯერ მაინც გაგვიელვებს ხოლმე მწარე ფიქრი—იქნებ ჩვენზე ბედნიერი ხარ, რომ ამ დღეს ვერ მოესწარ, საფიცარი სამშობლოს მწარე დღევანდელობას, შინააშლილობას და ომს ძმათა შორის. ვინ იცის, იქნებ?

მეგობრები.

### ლევან ცვარიანი



უცნაურია, ჩნდებიან ამ ქვეყნად ადამიანები ფიქრით დამძიმებული, მათი სიცოცხლე აუყვავებელ ტოტებს ჰგავს...

ასე, ბავშვობასთან შეურიგებელი ღრმა ფიქრიანი თვალებით შემომცქერის პატარა ლევანი სურათიდან.

ვუცქერ ამ თვალებს და მღლის ფიქრი—პატარა ლევანი 19 მაისს 3 წლის უნდა გამხდარიყო, მაგრამ არ დასცალდა არც ბავშვობა.

უნებურად გიპყრობს სიმყუდროვე უცნაური, დედის ტანჯული გულისცემა, დედის ცრემლები...

კედლიდან შენი ნაღვლიანი თვალები იმზირებიან, ბავშვობასთან თამაშმინებებული სევდიანი თვალები ფიქრით სავსე...

„დედა“ და „მამა“—მხოლოდ ამ სიტყვებს გამოსცემენ ყრუდ კედლები, თითქოს შენს პატარა სიცოცხლეზე საუბრობენ, რომელიც არ გაგრძელდება, არც ბავშვობა და არც ტიკტიკი უსაზღვრო, ბავშვობადქცეული შენი სიცოცხლე, ქარმა რომ დაისაკუთრა და მისად აქცია, ჩუმად რომ გაჰყვა ვერხვების ხეივანს, შორს, ძალიან შორს...

ღმერთო, რა დღეც ლევანს დააკლდა, ზურიკოს შემატე, აცოცხლე, ახარე...

მთვარისა ბენდელიანი.

### ირინე ჩაფრავა

გახსოვთ ირინე? ქალი, ოქროსთმიანი ხატი!

ვაება ვაებისა!

„ის, ვინც იყო ახალგაზრდა და იმდენად კარგი და მშვენიერი, რომ არავინ იყო მისი მსგავსი სილამაზისა“

გარდაიცვალა 24 წლისა...

წახვედი და დაგვიტოვე განუმეორებელი სევდა, ცრემლი დაოხვრა, დაგვიტოვე მრავალი სურათი და მონატრება, ტანჯული მშობლები და შენზე მლოცველი ახლობლები.

რამდენი გაზაფხული გავიდა უშენოდ, რამდენჯერ აყვავდა ნუში. დაგეძებთ ყველგან, მიწაშიც, წყალშიც, ჰაერშიც, სახლშიც, და მხოლოდ ღიმილს ვპოულობთ შენსას.

იქნებ გაზაფხულის სუნთქვას მოჰყვე, იქნებ ყვავილებში გამოჩნდეს ხატება შენი.

ლამაზი სულითა და სხეულით წახვედი, გაფრინდი და ალბათ ასეთი დაგვიხვდები ცათა სასუფეველში სიყვარულითა და სიკეთით დაჯილდოებული.

მანამდე?—მანამდე შენი განუმეორებელი ღიმილით ვიცოცხლებთ, შენი მონატრებით ვისულდგმულებთ.

მარინე სალინაძე.

### ლონდა რუბენის ასული მახარობლიძე

საბედისწერო გამოდგა შენთვის 1987 წლის 22 მაისი— პარასკევი დღე, შეგვაძულე გაზაფხული, მაისის თვე. შენი დაბადების დღეც პარასკევი და 22 აგვისტო იყო. ავტოკატასტროფას ემსხვერპლე. როგორ დაუმშვიდობებლად წახვედი.

ერთი წელი ემსახურე სამშობლოს, შენს საქმეს, მოსწავლეებს. უკანასკნელი გამოდგა შენთვის სასწავლო წლის ბოლო ზარი.

როგორი სიყვარულით, ცრემლით დაგტრიალებდნენ შენი მოსწავლეები საუკუნო სასუფევლისკენ მიმავალს, სიყვარულის ცრემლებს გაყრიდნენ შენგან გაღებული სიყვარულის წილ.

არასოდეს დაგივიწყებენ შენი დისშვილები გიორგი და დათო, „ბაჭიებს“ რომ ეძახდი, რა ბედნიერები ვიქნებოდით, რომ მოსწრებოდი დისშვილებს ბექასა და თამარს.

გვენატრები ლონდა, სიზმარში მაინც დაენახე შენს გამწარებულ დედ-მამას, დებს.

შენთან ერთად წავიდა ჩვენგან რეზო, ერთად ჩაგიკრათ გულში რიონის ტალღებმა. რეზო, როგორ გაამწარე მშობლები, დედმამიშვილები, დაობლე ორი ვაჟკაცი, დააქვრივე მეუღლე.

ღმერთმა ნათელი არ მოაკლოს თქვენს წმინდა სულებს.

ოჯახი.

### გურამ გრიშას ძე მუშკუდიანი

ორი ათეული წელი გავიდა, რაც უშენოდ ვხვდებით გაზაფხულს, ჩვენო გურამ. მიუხედავად წელთა სიმრავლისა, არ გაგვნელებია შენი ნატვრის გრძნობა და დანაკლისი. ეს მერამდენე გაზაფხულია, რაც შენს ეზოში არ არის შენი საქმიანი ფუსფუსი, შენი გამრჯე მარჯვენის ტრიალი. არადა როგორ გინდოდა სიცოცხლე. სამი ვაჟკაცი გეზრდებოდა, რა ამაყად უდექი გვერდით. შვილები დავაჟკაცდნენ, სამივემ ცალ-ცალკე დაიდო ბინა, დაოჯახდა, ბავშვების ჟრიამულმა აახმიანა სამივეს ოჯახი (რაზედაც შენ ოცნებობდი). შვილები ისეთივე წესიერი და მშრომელი ბიჭები არიან, როგორც შენ იყავი და როგორებიც გინდოდა. გვჯერა, შენს სახელს ჩრდილს არასოდეს მიაყენებენ.

დადის ჩვენს ეზოში პატარა გურამი, სიცოცხლე გრძელდება. ცხოვრება თავის გზით წავიდა, მაგრამ ვერაფერმა შეცვალა ის სიცარიელე, უშენობამ რომ გამოიწვია. მისი ამოვსება არც ისე ადვილია.

დედა ალიკო, მეუღლე ლამარა მუშკუდიანები.

### გელა ვარლამის ძე დაშნიანი

9 ახალი წელი გავიდა, რაც შენ ჩვენთან აღარა ხარ, მამა, მეცხრე 23 აპრილია, შენი დაბადების დღე, რომელსაც ვეღარ ხვდები.

ახალი წლის ღამეს, როცა მეგობრებს დაშორდი, გიმსხვერპლა სიკვდილმა. სიკვდილი და მერე როგორი—9 დღის შემდეგ გნახეს ლაჯანურის საგუბარში.

თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი. პაწიები დაგვტოვე. არავის ეგონა, თუ ასე ივაჟკაცებდა დედა, არ მიგვატოვა ღვთის ანაბარა, გაგვზარდა.

უკვე დიდები ვართ, მამა. მე მერვე კლასში, გიორგი—მეექვსეში. ხუთებზე ვსწავლობთ. დედას ვეფერებით, ვცდილობთ, ისედაც სევგამწარებულს არ გავუმწაროთ სიცოცხლე, გავახაროთ.

საბრალო შენი დედა ავადმყოფია, მის თვალზე ცრემლი არ შრება.

სანამ ვიცოცხლებთ, პატივს ვცემთ შენს საფლავს, შენს ხსოვნას, ვიამაყებთ შენით.

შვილები თამუნა და გიორგი.

მეუღლე თამარი, შვილები ნაილი, მარინე, მანანა, დები ზიზა, ძაძუ, გოგუცა, ლამარა, სიძეები გრიშა ჭელიძე, ბუჭა ასათიანი, ფრიდონ სამარგულიანი, მირზა კვენეტაძე, შვილიშვილები, დისშვილები, ცოლისძმა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ბუხუტი სიმონის ძე ალავიძე.**

---

დედა თამარი, მეუღლე ლეილა, შვილები რიტა, რუსუდანი, რამაზი, ძმა რეზო, დები მერი, ვენერა, რძალი ლეილა, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან რომ გარდაიცვალა
**დადაში გერასიმეს ძე გვიშიანი.**
დაკრძალვა 24 მაისს, კვირას, სოფ. ორბელში.

---

ცაგერის სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ქენია ბობოხიძეს სიძის
**ბახვა კოპალიანის**
გარდაცვალების გამო.

---

აქვსენტი კოპალიანი, თამაზ ჩაკვეტაძე, ზაურ სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ბახვა კოპალიანი**

---

დათო ხეცურიანი, ჯუმბერ ცვარიანი, ზაურ ახვლედიანი, გელა მამარდაშვილი, ბუჭუ ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ბახვა იონას ძე კოპალიანი**
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ქორა სილაგაძე, კახა ფუტკარაძე, გივი ნემსაძე, შერმადინ სალინაძე, შადიმან დავითულიანი, გივი ქომეთიანი, ანზორ კვირკაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ბახვა კოპალიანი.**

---

მეზობლები სულიკო, გურამ ყურაშვილები, თემურ ჩორგოლიანი, ამირან ხეცურიანი, გოგი ასათიანი, იროდი ნემსწვერიძე, გრიშა ჭილვარია, გიური, ხუტუ ბერუჩაშვილები, ტრისტან სილაგაძე, თემურ, ელგუჯა ფალავანდიშვილები, დადაში მაღრიანი, მამუკა კუხალაშვილი ოჯახებით იუწყებიან
**ბახვა კოპალიანის**
გარდაცვალებას.

---

თანაკლასელები ლედი გოგიძე, ინგული ახვლედიანი, მათელა სალინაძე, ნუცა ცვარიანი, მურთაზ ჩარკვიანი, მელსი ყურაშვილი, ნუგზარ ჩიქოვანი, მურთაზ ბერიძე, ლერი ტვილდიანი, ბიჭიკო ბენდელიანი, გურამ ლიპარტელიანი, ჯამლეთ ნემსაძე, გრიშა ხაბულიანი თანაუგრძნობენ იზო ბობოხიძეს მეუღლის
**ბახვა კოპალიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ჯუმბერ, გივი, გიზო სალინაძეები შოთა რადიონის ძე, დავით ალფეზის ძე, შარდენ კოპალიანები ღრმა მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა
**ბახვა კოპალიანი**
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ბორის, ანზორ ჭაბუკიანები ოჯახებით იუწყებიან
**ბახვა კოპალიანის**
გარდაცვალებას.

---

ბორის, ანზორ ჭაბუკიანები ოჯახებით იუწყებიან
**ლავროსი ჭაბუკიანის**
გარდაცვალებას.

---

მეუღლე აქვსენტი, შვილი ალბერტი, რძალი ნატო, შვილიშვილები ალეკო, ალუდა, დები საშა, კლავდია, ნინა, ძმა ოთარი, დისშვილები, ბიცაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, მაზლისშვილები, მულისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ლიდა სარდიონის ასული დავითულიანი-კოპალიანი.**

---

დედა ნატო, მამა როსტომი, ძმა მანუჩარი, ბებიები პაშა, ცაცა, ბაბუები მურმანი, გურამი, ბეგლარი, მამიდები დარეჯანი, დიანა, შორენა, დეიდა ციცო, ბიძები ასლან, ფრიდონ გოლეთიანები, იური ნემსწვერიძე, ჯუსტან კობერიძე, სულიკო ნინიკაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**მამუკა როსტომის ძე ქარსელაძე.**

---

დეიდაშვილები თამარ, ჯიბილო, სერგო, ბორის მიქაძეები, დიდიმ სვანიძე ოჯახებით იუწყებიან
**ბახვა კოპალიანის**
გარდაცვალებას.

---

ქორა კოპალიანი, ლერი იმნაძე, მურმან სალინაძე, გოგი ინასარიძე, ავთო თევზაძე ოჯახებით იუწყებიან
**ბახვა კოპალიანის**
გარდაცვალებას.

---

კაკო ნემსწვერიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
**ბახვა იონას ძე კოპალიანი**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ვალიკო მურაცხვალაძე, გოგი მუშკუდიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ბახვა კოპალიანი**

---

ბორია ბანძელაძე ოჯახით იუწყება
**ბახვა კოპალიანის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ჯაბუ, რეზო ტვილდიანები, ზაირა ჭილვარია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ბახვა კოპალიანი**
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

სოფელ ლაჯანის ახალგაზრდობა იუწყება, რომ გარდაიცვალა
**მალხაზ გურამის ძე მახარობლიძე**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

თემურ კაკოს ძე ჩიხიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
**მალხაზ გურამის ძე მახარობლიძე**
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ბორის ჩხეტიანი, თენგიზ მანდარია ოჯახებით იუწყებიან
**თამარ ერმილეს ასული გახვიანი-მანდარიას**
გარდაცვალებას.

---

